



# მეტრიკ სხეულები



1910 სათავადად სალიცურად აღწერილი № 14

კვირა, 4 აპრილი, 1910 წ.



ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა „სამეურა“-ს შიდაში





წლიურად 5 მან. ნახ. წლით 3 მ. ცალკე  
ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება დრ.  
სახ. კან. იოსებ იმედაშვილთან. Тифлисе,  
ред. „Театри да Цховреба“  
Иос. Зах. Имедашвили.

4 აპრილი 1910 წ.

**დრამატული ჩუნი** ორიგინალური დრამატი-  
**მწერლობა.** ული მწერლობა რომ ღარიბია, ეს  
ვინ არ იცის...

მართალია ამას მრავალი მიზეზი აქვს და  
ერთი მათგანი ის გაჩნდებოდა, რომ ქართული  
მწერლის ასპარეზი იმდენად ვიწროა, თუ რასმის  
დასწრეს, უჩუქვლად ნაცნობ-მეგობართ, მასლო-  
ბულთ უნდა შეესოს, სოლო მსოფლიო საკანს  
იგი ვერ წასცენიბია... თითქმის იგი ამ მიზეზით  
იქნის ვარ. ნდებოლი, მაგრამ ის უფროს დიდი და-  
ნაშეული არ იქნება, რომ ჩუნითა მწერალთ არ  
უარგყონ გულცილობა და თამად არ აიღონ ის სა-  
განი, ის ხანა, რაცაც სულსა ჰსუთავს ჩუნის სა  
ზოგადოებრივ ცხოვრებას.. ვინა დრო არ არის,  
რომ ქართული სცენაც შეუდგას რუსულთ გზას და  
ჩუნიც ცხოვრებას ნამდვილ საარეუ გაუხდეს?!

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ  
ჩუნი ცხოვრება არასოდეს არ იბულოდა იმდენად  
მასალას დრამატიულ. და საზოგადოდ სასკლოთ-  
ნო, ნაწარმოებთა შესაქმნელად, რათღენსაც ას-  
ლა; განსაკუთრებით უკანასკნელი სუთითდო ქუ-  
ლიწინია მდინარა შინაარსით: იღესლთა დაშ-  
სსგრევა, ძლიერი ალყინების შეშვეგ უცები მი-  
დუნება, სულიერი სიკვდილი, ინტელიგენციის  
არარაობა, ენიანთა უნოდ გაზრდადნა, ჭეშმარი-  
ტების ზოვიერთ მთბლვართა გაიბუჯრებად შესვლა,  
ცხოვრების გაზრდამავალი ხანა, საზოგადოების  
ბუჯრთა გასტრნა, მწიგნობართა დაქუცმაცება,  
თანამედროვე თჯასის მართლად-და **დრამატული**  
განცდა...

ვლდენი მასალა და მაინც ნიჭიერი გა-  
ბომსაცული არა ჰყავს ჩუნიც დროს...

ამავე ნომერში ვბუქდავთ თ. შავლუ იოსე-  
ბის-ბის თუშანიშვილის დუქმას, რომლითაც შა-

**შინაარსი:** დრამატული მწერლობა—მე-  
თაური; გაკვირით—გ. ახლცხეჯისა; ქარი...  
გრიგალი—ვ. ბარკეჯისა; იბენი და მეტერლინ-  
კი—შ. დადვასისა; დრამატ. გამგ. წვერი (დასა-  
სრული) ივ. გამარტლისა; ღამის ფუქრები—გ.  
ფოტხეჯისა; დედავ ბუნებავ (ლექსი)—ტ. ტა-  
ბიძისა; დრამატ. მოლ. ასპარეზზე—ზ. ჭიჭინაძისა;  
სეზონი 1909-1910 წ.; ქალი ლიტერატუ-  
რასა და ცხოვრებაში—ცისკარისა; სათეატრო  
ამბები.

ციცყმულმა პ. ი. თ. ნ. მ. გაშენია-ცაგარლის  
დღეს აღსთქვა: თრ პრუბიას ვნიშნავ ორიგინა-  
ლურ შიქსათა დასაჯილდოებულად: 200 და 100 მ.  
გადა ერთი ქულიწინადა, რ. ი. 1 ძრისცვიმბის-  
თუქმდე.

არ შეიძლება ამ დამარებას ანგანიში არ  
გაქრის.



გ ა კ ვ რ ი თ

(თეატრის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩვენთვის.—კრიზი-  
სი შელპომენის ქართულ ტაძარში.—რა გააცოცხლებს საქმეს!?)

თეატრი უსაქმურთა გასართობი, უბ-  
რალა რამ არ არის, თუ იმას მივიღებთ  
მხედველობაში, რომ თეატრში ათასობით  
სხვადასხვა ხასიათის კაცი შეიძლება ატირ-  
დეს ერთნაირის ცრემლით და გამხიარულ-  
დეს ერთნაირის სიცილით. თეატრი დიდე-  
ბული სკოლაა, რომლითაც დიდი სამსახუ-  
რი შეიძლება გაეწიოს ქვეყანას.  
გოგოლი.

ვიდრე მკითხველს გავუზიარებდეთ ჩვენს  
შთაბეჭდილებას, რაიც მივიღეთ რუსეთის სა-  
ტახტო თეატრების ნახვით, რომლებიც მატე-  
რიალურად უზრუნველ ყოფის გამო ხელოვნე-  
ბის მხრეცა მალა არიან დაყენებულნი,—  
აქ ჩვენს თავს ნებას მივცემთ და ორიოდე სი-  
ტყვით შევეხებით ჩვენი თეატრის გარემოება-  
საც.

ვგონებთ მეტი აქნება იმაზე დიდი  
ხნით შეჩერება, რომ უძველეს დროიდან, რო-  
ცა თეატრი პირველად აღორძინდა საპერძნეთ-  
ში, ჩვენ დრომდის, ყველა მხარის მოწინავე  
ხალხში დაურღვეველ ქეშმარიტებად არის აღი-



არებული, რომ თეატრი, დიდებული, ქვე-  
გონების გამწვრთნელი, გამაფაქიზებელი სკო-  
ლაა; იგი ბუნებრივად მხალეხელი, გონებრივი  
და ზნობრივი სარკეა, სადაც მაყურებელი ნა-  
თლად ხედავს თავის ნაკლულოვანებას, სიღუბ-  
ქირე-სიმახინჯეს, დაღბინება დაავადებას, აესა  
და კარგს. თეატრის პირდაპირი დანიშნულებაა  
— გავსმინოს ცოცხალი სიტყვა, მკაცრი, მო-  
ურიდებელი და შეუბრალებელი მხილება ჩვე-  
ნი ნაკლულოვანებისა და იყოს იგი, როგორც  
ლამპარი წყვდიად ღამეში, გზის მაჩვენებლად,  
ხელმძღვანელად ყოველ-დღიურ საქობრო-  
ტო კითხვების გადაწყვეტაში.

თეატრი შეუდარებელ პრაქტიკულ სკო-  
ლის როლს თამაშობს ყველა კულტურულ  
მხარეში, ამითვე აიხსნება ის გარემოება, რომ,  
იმისდა მიუხედავად, რომ ხალხი გამრავლდა, ინ-  
დუსტრია — ვაჭრობა გაფართოვდა, გაძლიერდა,  
რამაც გამოიწვია დიდ უმრავლესობის გალატა-  
კება-გალარიბება და საერთოდ ცხოვრებას გა-  
ქირვება, — მაინც არ ერიდებიან ხარჯს და ასი-  
ათასობით და მილიონობითაც ანდომებენ თეა-  
ტრების მოწყობას, ვინაიდან, არა იშვიათად,  
ხელმოკლეთაც-კი ყოველ-დღიურ საზრდოდან  
ჩამორჩენილი გრაშები მიაქვთ თეატრში, საი-  
დანაც ელიან ზოგიერთ „წყვეულ კითხვების“  
გარკვევა-განმარტებას.

თუ თეატრი ასეთი დიდმნიშვნელოვანია  
ჩვენზე ბევრად კულტურით დაწინაურებულ და  
მატერიალურადაც უკეთეს პირობებში მყოფ  
ხალხთათვის, — ადვილი წარმოსადგენია, თუ რა-  
მოდენა სარგებლობის მოტანა შეეძლება კარ-  
გათ დაყენებულ ქართულს თეატრს, რომელ-  
საც ჩვენთვის, ქართველებისთვის, ერთი კიდევ  
განსაკუთრებული, დაუფასებელი მოვალეობა  
აწევს.

მოგვხსენებათ, რომ ჩვენი ენა და ჩვენი  
ვინაობაც, სხვადასხვა მიზეზების გამო, მეტად  
აბუჩად არის აგდებული. ჩვენს მრავალ საუკუ-  
ნეებს გამოვლილს ენას, თუ კი და სადმე სა-  
ზოგადო დაწესებულებაში დაჩვენია თავშესა-  
ფარი ადგილი, — ეს მხოლოდ ქართული თეა-  
ტრია. სხვაგან-კი ყველგან ვერაგულის სიბო-  
როტით არის განდევნილი. აიღეთ ჩვენში და-  
არსებული სკოლები, რამლებიც ყველგან  
ითვლებიან სწორი და გამაფაქიზებელ ენის შე-

სასწავლ ტაძრად. ვინღა სჩივის <sup>სწავლულობის</sup>  
თათვის დაარსებულ უმაღლეს და საშუალო სა-  
სწავლებლებზე! ზოგიერთ მათგანში ხომ ქარ-  
თულად წინადადების წარმოაქმაც-კი დიდ და-  
ნაშაულებად ითვლება და პირზე დორბლსა  
ჭგვრის ჩვენს „განმანათლებლებს“ (გაიხსენეთ  
ამ ცოტა ხნის წინედ ქუთაისის სავაქო გინა-  
ზიაში მომხდარი ინცადენტი და „სოიუზნიკი“  
პედაგოგის კუსტინოვიჩის უსირცხვილო საქცი-  
ელი...) აიღეთ სახალხო სკოლები: აქ, როგორც  
ერთი გაზეთი ახასიათებდა თანამედროვე პო-  
ლიტიკანთა პედაგოგისა, — „ჩვენებური სკოლა  
მალე პირუტყვთა გასაწვრთვნელ დაწესებულე-  
ბად გადაიქცევა, რადგანაც ვერედ-წოდებული  
მუნჯური (ლევაკისა და ძმათა მათთა), ანუ  
მათისებურად „ბუნებრივი“ მეთოდის იდეალი  
არის ამოდრობა სამშობლო ენისაო“, რადგა-  
ნაც ამ უკანასკნელის დაუხმარებლად ცდი-  
ლობენ შეგირდებს გააზებირებიონ უცხო ენის  
სიტყვები და ნამდვილი მიზანი კი სწავლისა:  
— შეგნება სიტყვებით გამოხატულ აზრისა, — არ  
აინტერესებს.

ამასვე ვხედავთ ყველასათვის სწორ სა-  
სამართლოში, სადაც უცხო ენის არ მკოდნე  
ქართველი ვერ გადასცემს თავის გასაქირს, თა-  
ვის გულის პასუხს, რადგანაც იქ თვით ქართვე-  
ლი მოსამართლეს მოვალეა ელაპარაკოს ქარ-  
თველსავე მომჩივანს თარჯიმანის შემწეობით.  
და ასევე ყველა დაწესებულებაში.

ან კი რა პირით უნდა დავემდუროთ ამ  
უკუღმართობაში სხვას, როდესაც უმრავლესო-  
ბა ჩვენგანი, გოგოლის უნტერ-აფიცრის ცო-  
ლივით, თვითვე იწკებლება, თვითვე გახდომია  
სხვას გზად და ხიდათ, თვითვე გრძობს მონო-  
ბაში „მყუდრო ცხოვრებას“. ასეთ დაბეჩავე-  
ბაში ვინაა დამნაშავე, თუ არა ისევე ჩვენ:  
ყველგან და ყველაფერში სიჩუმე, სიმხალდე,  
ჩვენივე უფლების შეუგნებლობა, უნენერგიობა,  
სახსარს შეუფერებლად — ფუქსავატური „ხელ-  
გაშლილი“ ცხოვრება და ეკონომიურად უკან  
ჩამორჩენა, საერთოდ საქმეებში სოლიდარობას  
მოკლებული ცხოვრება, — ერთმანეთის არ გა-  
ტანა, — აი, თუ გნებავთ, მიზეზიც და შედეგიც  
ჩვენი ახლანდელი დაბეჩავებული ყოფისა.

ავიღოთ თუნდ ოჯახები ჩვენებურ ინტე-  
ლიგენტთა, რომელნიც ზნობრივად მოვალენი



არიან უხელმძღვანელონ და მისაბაძი მაგალითი მისცენ ხელმოკლე და შეუზღებელ თანამოძმეთ, — მათი დიდი უმრავლესობა ხომ აღარც კი კადრულობს ქართულად ლაპარაკს და შეიღებს ხომ უცხო ენაზე ატიტინებს, არიდებს ქართულად ლაპარაკს, რომ რუსული „აქცენტი“ არ გაუფუჭდეს. მერმე დედა-ენის ასე აბუჩად აგდება თავისივე თავის აბუჩად აგდება არ არის!? რას გვასწავლიდენ აზრის დიდებულნი მოღვაწენი, რას ქადაგებდა ჯერ აქნობამდე რუსეთში უბადლო პედაგოგი — უშინსკი: „ენა არისო, — სწერდა ის, — ცხოველი, მკვიდრი კავშირი, რომელიც ერთობის სულს უდგავს ყოფილს, აწყყოს და მომავალ თაობას ერისას. ის, არამც თუ ხალხის სიცოცხლის გამომხატველია, — ის თვით სიცოცხლეა. როცა ხალხის ენა ქრება, ქრება ხალხიც. ვიდრე ენა ცოცხალია და ხალხი იმაზე ლაპარაკობს, ხალხიც ცოცხალია და იმისთანა აუტანელი ძლადობა არ იქნება რა, რომ წაართვა ხალხს სამკვიდრო, შექმნილი და დატოვილი აურაცხელ უწინდელ თაობისაგან. წაართვით ხალხს ყველაფერი და ის ყველაფერს დაიბრუნებს, თუ ენა წაართვით, — ის მას ვეღარ შექმნის. მოკვდა ენა, — მოკვდა თვით ხალხიც“.

ან რასა სწერდა ჩვენი ახალთაობის ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანი, ბ.ნი ნ. ჟ—ია: „ენა უმაღლესი და უფაქიზესი გამოხატულებაა ხალხის გონებრივი, ზნეობრივი და ასე გაშინჯეთ ფიზიკური თავისებურობისაც კი. ნასში, როგორც აუზში, თავს იყრის ერის უზენაესი და უწმინდესი სულიერი თვისებანი, აქ გამოინასკვება სულის უჩინარი ძაფები, აქ ინახება ნაციონალური სულის ერთად ერთი გასაღები. როცა ის შეირყევა, გაფუჭდება, ან მთლად დაიკარგება, — შეირყევა, გაფუჭდება და მთლად დაიკარგება ერის სულიც და მასთან ერთად მთელი ორგანიზმი“...

ამდენს ხანს თუ შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება საზოგადოთ ენის მნიშვნელობაზე, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მკრთალი სურათი მაინც დაგვეხატა იმ დიადი მნიშვნელობისა, რაიც მიუძღვის ჩვენებურს თეატრს ჩვენ მრავალ გზით შევიწროებულ და აბუჩად აგდებულ ენის დაკვაშა. მართლაც, აბა სადღა აქვს ჩვენს ენას თავშესაფარი, თუ არა მწერლობის

ვიწრო კალაპოტში საზოგადოთ და თეატრში კერძოდ.

მაგრამ ეს ჩვენთვის ძვირფასი ტაძარი — თეატრი ჩვენ დროში, სამწუხაროდ, ვერა სდგას იმ ღირსეულ სიმაღლეზე, რომელიც მას ეკუთვნის. უკვე საიღუმლოებას აღარ შეადგენს ის უსიამოვნო ფაქტი, რომ ჩვენი თეატრი კრიზისს განიცდის. ჩვენს პერიოდულ პრესაში უკვე მრავალი წერილი დაიბეჭდა ამ კრიზისის მიზეზების გამოსაკვლევადა: ერთმა ერთი სთქვა, მეორემ — მეორე და რუსების თქმისა არ იყოს — *СКОЛЬКО ГОЛОВЬ, — СТОЛЬКО И УМОВЬ* — ი.

ჩვენ კიდევ ვფიქრობთ, რომ უმთავრესი მიზეზი ჩვენი თეატრის დაქვეითებისა არის სიმცირე სცენაზე მოღვაწე ღირსეულ ძალებისა, რაიც, თავის მხრივ, აიხსნება უსახსრობით და შეთანხმებულ, დისციპლინალურ ორგანიზაციის უქონლობით.

ამ ცოტა ხნის წინედ ვაზ. „დროებაში“ მოთავსებულ ბ. ვ. შალიკაშვილის (ქართ. თეატრის ყოფილ რეჟისორის) წერილებიდან აშკარად გაითვალისწინებლით ბევრს სამწუხარო ფაქტს, რაიც ხელს უწყობს ჩვენი თეატრის დაქვეითებას. ბ. შალიკაშვილი მოგვითხრობს, სხვათა შორის, რომ ბევრი მსახიობი, განსაკუთრებით დამსახურებული, ჯერ ერთი იშვიათად და უდროვოდ დაიარებოდა მოსამზადებლად რეპეტიციებზე და რეჟისორის ხელმძღვანელობას აინუნშიაც არ იგდებდა, ამიტომაც ბევრი მათგანი ყოვლად მოუშადებელი გამოდიოდა სცენაზე, დაიმედებული თავის ნიქსა და მათ-მიერ ტანჯულ სუფლიორზე; მაშინ, როდესაც სინიდისიერი მსახიობის ზნეობრივ მოვალეობას უნდა შეადგენდეს ღრმად ჩაუკვირდეს და ჯეროვანად გაიმსჯელოს პიესის ძირითად იდეით — ავტორის განზრახვით, გაზომოს და ზედმიწევნით შეისწავლოს ყოველი ბიწი, ყოველი მიხვრა-მოხვრა იმ ტიპისა, რომლის გაპიროვნებაც უკისრნია. ჩვენებური მსახიობი-კი ურეპეტიციოთ, თითქმის პიესის წაუკითხვად, ჰბედავს სცენაზე გამოსვლას და რათ უნდა გავიკვირვოთ, რომ ამ გვარად **შინაურულად**, ქართველური დაუდევრობით ნათამაშებმა პიესებმა ვერ მიიზიდა საზოგადოება, მეორეს მხრით რა გული და ხალისი უნდა

შერჩეს ჩვენებურ მსახიობს, როცა იცის, რომ მისი შრომა, არამც თუ ჯეროვანად, საყველ-პუროდაც არ ჯილდოვდება და თუ მას სხვა წყარო ცხოვრებისა არ მოეპოვება, სცენიდან აღებულ საცოდავ გროშებით წელ იწადში ორიოდ თვესაც ვერ ისაზრდოებს. ყოველ-გვარ დარგში მომუშავეთ მხოლოდ მაშინა გაქვთ უფლება მოსთხოვოთ ნაყოფიერი შრო-მა, უკეთუ უზრუნველ-წყაფთ იმის ყოველ-დღიურ არსებობას. ჩვენ თეატრს ჯერ კიდევ თავი ვერ დაუბწყვია ლალიაობისაგან, ქველ-მოქმედებისაგან და ქველმოქმედება ხომ პა-ლიატივია, განსაკუთრებით თეატრისთანა დიდ საქმეში, სადაც საკუთარი საგრძნობი ძალ-ლო-ნის ქონაა საჭირო.

ჩვენ შემთხვევა გვექონდა, ამას წინად და-გვეთვალა იერებინა პეტერბურგისა და მოსკოვის თითქმის ყველა თეატრები და ბევრი მათგანი იმდენად მალაა დაყენებული ხელოვნების მხრივ, იმდენად განვითარებული, მომზადებულ-ნი და თამაშში შეთანხმებულნი მსახიობნი გა-მოდინან სცენაზე და ამიტომაც იმდენს ნამ-დვილ ესთეტიურ სიამოვნებას გრძნობს მათი მაყურებელი, რომ ადვილად შესაძლებელია კაცმა უფრო ზოგჯერ საზრდო მოიკლოს, ვიდრე თეატრს მოსცდეს. ამითვე აიხსნება, რომ ზოგიერთ იქაურ თეატრებში შესასვლე-ლი ბილეთები თუ რამდენიმე კვირის წინეთ არ შეიძინე, შემდეგში ვეღარც კი იშოვი.

რატომა ხდება ასე, ნუ თუ ჩვენებური მსახიობნი მიმზიდველ ნიქს მოკლებული არი-ან? პირ-იქით: მესხიშვილებს, ჩხეიძეს, დავითა-შვილს, აბაშიძეს, გუნჩას, მესხებს და სხ. იქა-ურ სცენაზედაც საპატიო ადგილი ექირებო-დათ. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ იქაურ სცე-ნაზედ ისეთ მდარე მოღვაწესაც ვერ შეხვდე-ბით, რომ თვიურად 100--150 მანათზე ნა-კლებს იღებდეს და 500—1000 და მეტი მანათის ამღებიც არა იშვიათია. და ასეთი სას-ყიდელით და ისეთ კეთილშობილურ ასპა-რებს რომელი ნიქიერი ადამიანი გაექცევა თვის შრომა-მოღვაწეობით და სხვა სარბიელს აირჩევს. ჩვენში კი მესხიშვილებიც ას მანათო-ბით იშვიათად თუ ნახავენ როდისმე და და-ნარჩენთ მშვიტ-მწყურვალეთ სთხოვენ კონკუ-რენტია გაუწიოს თუგინდ ჩვენშივე მოქმედ

უზრუნველ-საყოფ პირობებში მომუშავე უცხო მსახიობთ.

ჩვენ თავის დღეში ვერაფერ დაგვაჯერებს, რომ უკეთუ ნორმალურ პირობებში იქმნებთან ჩაყენებულნი, არ შეეძლოთ უდღეფიცითათ თავიანთ თავის შენახვა თუ გინდ თბილისის და ქუთაისის თეატრებს (ამის უტყუარი მაგალი-თია წლევიანდელი სეზონი ქუთაისის თეატრი-სა). საქმეც იმაშია, რომ ჩვენთვის დიდმნიშვნე-ლოვან ქართულ თეატრისათვის საჭიროა იმ გვარი მატერიალურად და ზნეობრივ-გონებრი-ვად ღონიერი ძალა (ერთი კაცი იქნება ეს, თუ მთელი ჯგუფი, საზოგადოება და სხ., სულ ერთია) რომელიც გამაცოცხლებელს სულს ჩაჰბერავს ამ უყურადღებოთ მიტოვებულს მელპომენის დიდებულ ტაძარს...

გ. ანაღციხელი



\* \* \*

(კუძღენი ელო ანდრონიკაშვილს)

ქარი... გრიგალი!

თავბრუ-დამხვევი ზუზუნი გაისმის გარემო.

ქარი... გრიგალი!

ძირიან-ფესვიანათა ჰგლეჯს ყოველივეს კაცკი წინ შეფეფეთება—კორიანტელს აყენებს. შემადრწუნებელი ჟრუანტელი გიგლის ტანში, თმა ყალყზე დგება.

ქარი... გრიგალი!

ტყეს მოსდებია და თითქო კენესისო, ისე იხნიქებიან ასწლოვანი ხეები—ტახ, ტახ!

ქარი .. გრიგალი!

ზღვაზე ნავარდობს—მისთვის თათარი აუ-შლია და საშინელ სიმაღლეზე აგორებული მი-სი ტალღები გაშმაგებული ეხეთქება თვალშიუ-წვდენელ კლდეს.

შრ... შრ!..

ქარი... გრიგალი!

მის ძალას შეუპყრია მთელი სამყარო და ანიავებს საშინელ უწმინდურებისაგან, სიბილ-წისაგან, გახრწნილებისაგან.


მაშ დაჰბერე და იზუზუნე...

დაჰბერე მთელი შენი სასტიკი ძალით, რომ გაჰკუდო და სული შეუხუთო ამ ქვეყნიერების სივადგაზნესა და სიდუხჭირეს!

მშვენიერია...

ქარი... გრიგალი!

ვანო ზარაკლი



ჰენრიხ იბსენი

## იბსენი და მეტერლინკი\*)

თანამედროვე ცხოვრების მოპაკვდინებულ ერთფეროვნების მიერ შეღავათებული ბურჟუაზიული საზოგადოება სასოებით აღსავსე თვალთ შესცქერის განკერძოებულ პიროვნების შემოქმედებითს ძალას. ძველი, დახავსებული ფორმანი ველარ აკმაყოფილებენ ადამიანის ამაყს სულს. განთავისუფლების ცხოველი სურვილი ჰქმნის ახალს პოეზიას—მოდერნიზმს. საზოგადოებრივ ცხოვრების უღლის-მიერ შეურაცყოფილი პიროვნება უბრუნდება თავისსავე სულს: თავის შემეცნებათა, წარმოდგენათა და სულისკვეთების გაღმერთებაში ეძიებს იგი ასე სასურველს ხსნას. მაგრამ ვერც მძლავრი პიროვნება, ვერც მბღალი ვერ აღწევს აღთქმულს ქვეყანას. იღუპება პიროვნება, და მასთან ერთად ჰქრება ყოველივე მისი, სუბიექტიური. კილით-კიდედმე გაისმას სასოწარკვეთილი უნივერსალურ გონების გოდება... „სად არის ქეშპარიტება?... ნუთუ სიკვდილი დასახურებული ჯილდოა ჩემის აღმაფრენისა?..“


თანამედროვე ფსიხიკის ამგვარი მდგომარეობა ჰბადებს მწერლების მთელს გუნდს, რო-

მელსაც თავის პოეზიის უმთავრეს ძარღვად გაუხდია პიროვნება და მისი სულიერი არსებობა. ამ ინდივიდუალისტ მწერალთაგან ერთნი აღმერთებენ მძლავრს, ზესთაბუნებრივს პიროვნებას, აძლიერებენ ბრძოლის სურვილს და იმედის სხვისა ჰფენენ ადამიანის უფერულ ცხოვრებას, ხოლო მეორენი გვაჩვენებენ ადამიანის სულის, გონების უძღურებას, სამარადისო ტანჯვას ჰპირდებიან ისედაც გაწამებულს ადამიანს... მწერალთა პირველს გუნდს ეკუთვნის ჰენრიხ იბსენი, მეორეს—მორის მეტერლინკი.

იბსენი ქეშპარიტი მშობელია სულის დრამაზე აშენებულ ახალ თეატრისა. იგი სიმბოლისტია, ვინაიდან იმ შოვლენათ, რომელთაც ჩვენ ვხედავთ სცენაზე, თან სდევს განკერძოებულ პიროვნების სულის დრამა, რომელსაც აქვს თავისი ლოდიკა, თავისებური თანდათანობა. იბსენის გმირნი—სიმბოლონი არიან. ისინი წარმოადგენენ სულიერ არსთა და იდეათა ხორც-შესხმას. სულის დრამა თავისებურს სინათლეს ჰფენს ობიექტიურ სამყაროს; ყოველივე დიადი და ღირს-შესანიშნავი არარაობად ხდება, და ხშირად არარაობა იღებს საბოლოოვო, გადამწყვეტ მნიშვნელობას და ასე თუ ისე მოქმედებს ადამიანის სულის ისტორიასა და ინდივიდუალურ პიროვნების განხორციელებაზე. იბსენი თავს ანებებს ობიექტის არსებობას და მთელს თავის ყურადღებას აქცევს ადამიანის სულს. მისი აზრით ცხოვრება მხოლოდ გარემოებაა, რომელშიაც სულს უხდება არსებობა. ფაქტები და მოვლენები ობიექტიურ თანდათანობათ კი არ მისდევენ ერთი მეორეს, არამედ პიროვნების სუბიექტიურ აზრს ემორჩილებიან.

იბსენი ინდივიდუალურ ძალის, მისი ამაყ მთლიანობისა და კეთილშობილ სიკვდილის მომღერალია. მეტერლინკი—მარტოდშთენილ პიროვნების შიშის და შფოთვის პოეტია. მისი გმირნი სასოწარკვეთილებით ეძიებენ კავშირს თვის და ობიექტიურ სამყაროს შორის. იბსენს სწამს, რომ უმაღლესი ძალა აჯილდოვებს ყოველსავე პიროვნებას მთლიან სულით. მან შეითვისა თანამედროვე ადამიანის სულისკვეთება, როგორც ამ სულის სავსებით მოპოვების სურვილი. მეტერლინკი არ კმაყოფილდება

\*) Коган. Зап.-Евр. Лит. III



ეროვნული

ამით. იგი ცდილობს თვით უმაღლეს ძალის ბუნების გამოარკვევას, მის შესწავლას. მეტერლინკს არ აკმაყოფილებს იბსენის რწმენა, ვითომ თვით ადამიანი იყოს ფაქტი და არ საჭიროებდეს ობიექტიურ ბუნებასთან დამოკიდებულების ხასიათის აღნუსხვა-გამოაშკარავებას. ინდივიდუალურ სულის მისწრაფებაში მეტერლინკი ეძიებს ბუნების აზრს და უმაღლეს ძალის მიზანს. იგი ჰქმნის მსოფლიოსა და ადამიანის ახალს დუალიზმს. მისი აზრით, ადამიანიც და ობიექტიური სამყაროც შესდგება ორის ბუნებისაგან, რომელთაგან თითო თავის განსაკუთრებულ, სპეციფიურ ცხოვრებითა ცხოვრობს.

იბსენის გმირი თავისისავე სულს აპყრობს ყურადღებას; იგი თვისშივე ეძიებს მხნეობას, რათა არ უღალატოს თავის მცნებას; იგი მოურიდებლად შესცქერის სიკვდილს და თავის არსებობის დანიშნულებათ პიროვნების შეხუთვისთან ბრძოლა მიიჩნია. იბსენის გმირს არ ეშინია ბუნების, მისი მუხანათობისა და უმაღლეს ძალის შეუბრალებლობისა. იგი არ იბრის თავის ამაყს თავს... მეტერლინკის გმირიც თავის სულს უბრუნდება. მაგრამ მას ეშინია ქვეყნისა, იგი ვერ ზედავს უმაღლეს ძალთან შებრძოლებას. იგი, სულმდაბალი, ან პატიებას სთხოვს შეუბრალებელ ბედის წერას, ან იმედმიხდილი წყევა-კრულვას უგზავნის მას. იბსენისა და მეტერლინკისათვის ცხადია პიროვნებასა და სამყაროს შორის მომხდარი განხეთქილება. იბსენმა პიროვნებას დაუჭირა მხარი. მისი აზრით ადამიანი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უნდა ეცადოს ქვეყნის დაპყრობას; და თუ ადამიანი დაიღუბება ამ ბრძოლაში, თვით ეს სიკვდილი იქნება დიდებული გამარჯვება და უწმინდესი მსხვერპლი. მეტერლინკმა ვერ ჰპოვა ხსნა ამ უთანხმოებისაგან, უძლურებით დაავადებული, იგი მხოლოდ შესცქერის შეუბრალებელ ბედისწერას და მისგან მიწასთან გასწორებულ ადამიანს. მეტერლინკიც სიკვდილში, მხოლოდ სიკვდილში ჰპოებს ერთად ერთს ხსნას. მხოლოდ მეტერლინკისათვის სიკვდილი გამარჯვება როდია. სიკვდილი ადამიანის უღმობველ ბედისწერის დამამტკიცებელი საბუთია. იბსენი ნუგეშს სცემს მომაკვდავს მებრძოლს, იგი განგმირულს სულს ულოცავს დიად გა-

მარჯვებას. მეტერლინკის გმირს უკმაყოფილებს, უიმედობით გარემოცული კვდება. უიმედოთ. კვდება მეტერლინკის გმირი, რადგანაც მას გათვალისწინებული არა აქვს ის მიზანი, რომლის განხორციელებასაც ხელს უწყობს მისი სიკვდილი.

„მოიპოვე თავი შენი“—ლაღადებს იბსენის პოეზია—„წმინდათ, შეუღალაზად დაიცევ მთლიანობა და ხელუხლებლობა შენის პიროვნებისა. იბრძოლე, და სიკვდილი იქნება ერთადერთი შედეგი ამ ბრძოლის. მაგრამ შენი სიკვდილი ემსახურება მსოფლიოს უმაღლეს ამოცანათა გამოაშკარავებას. ამიტომ სიკვდილი არ უნდა გეჩვენებოდეს შენ უაზრო საშინელებად... შეიყვარე იგი და გაიხარე: სიკვდილი შენი გამარჯვების დღესასწაულია!..“

„ყურადღება მიაქციე შენს თავს, ყური დაუგდე შენი სულის იღუმალ ხმას“—ლაღადებს მეტერლინკის პოეზია—„განა აშკარა არ არის, რომ სამყაროს უმაღლესი ძალნი სიკვდილსა და უბედურებას გიზადებენ შენ; რომ ეს სიკვდილი უაზროა და საშინელი? იგი შეუბრალებელია... ამიტომ ცხოვრებდე, ადამიანო, სამარადისო შიშითა და ვაებით... ვაება და სიკვდილის წინაშე შიში გარგუნა უღვთო ბედისწერამ“.

რასაკვირველია, იბსენიც და მეტერლინკიც ინდივიდუალისტები არიან. მაგრამ იბსენი აგვიწერს მძლავრი და ამაყი სულის მისწრაფებას, მაშინ, როდესაც მეტერლინკი სუსტი ადამიანის სულის კვეთებას იხდის თავის პოეზიის საგნად. იბსენმა მთელს ქვეყანას დაანახვა გმირნი, რომელნიც ცხოვრების ბორკილებთან ბრძოლით შექმნეს პირადი ღონის და ვაჟკაცობის ფილოსოფია. მეტერლინკმა შექმნა გმირნი, რომელთაც განშორდენ ქვეყანას, და რომლებმაც შექმნეს მხოლოდ შიშისა და სასოწარკვეთილების ფილოსოფია. მიუხედავად ამ განსხვავებისა, იბსენისა და მეტერლინკის ფილოსოფიას ერთი და იგივე ბაზისი აქვს. მათ ასულდგმულებს ერთი და იგივე სურვილი—პიროვნების განთავისუფლება...

პეტრე დავაძე





# დრამატული გამგეობის წევრი

ვოლ. 2 მოქ. თხზ. ივ. გომართლისა

(დასასრული—იხ. „თ. და ც.“ № 11, 12, 13)

## X

### პეტრა, დედა და ძალიზვილი (უსიტყუა)

**დედა.** თქვენთან, შვილო, აი დედაშვილობის მადლი გაუწყრა აი ამასა (ქალზე უხვეუნებს. ქალი გულმოსუდა დედას გადახედავს), ერთი სათხოვარი მაქვს. ქვრივობლობასა და ოხრობაში ორი შვილი გამოვზარდე, ერთი ვაჟი და ერთი ქალი.

**პეტ.** (თავისთვის) ნამდვილად ამთაც არტისტკობა უნდათ. ღმერთო, რა შეგცოდნე ამის ფასი. (გაიფლ-გამოაფლის)

**დედა.** უური დამიგდე, შვილო. ამ ორ შვილს შეეხაროდ, შენი ქირიმე; იმან ხელმწიფეს დაუწყო ჩხუბი და ხელმწიფეს ის რითი მოერევიდა, შიგ შუაგულ ციზირში უქრეს თავი. აჰან კიდევ სულ მომქრა თავი და შემირცხვინა ოჯახი. ამ სამი თვის წინეთ ბუში დამისკა სახლში. ნამუსახდილი ქალი ვილას რათ უნდა, შენი ქირიმე, რაში გამოდგება! ერთად-ერთი გზა დაარჩენია, აქტირცობას უნდა მოჰკიდოს ხელი და მერე მიდგეს და დასვას ბუშები რამდენიც უნდა. აბა, შენი ქირიმე, ამას გეხვეწები, რომ აქტირცად მიიღოთ. იმისი საქმეაო, თქვენზე მითხრეს.

**პეტ.** თხოვნა შეიტანეთ და გამოცდიან.

**დედა.** ძალიან კარგი, ბატონო, ამაზე აღვილი რა არის. (ხელს აწამუკვან და გადას)

**პეტ.** აი ლოლიკა! რადგანაც არსად, ივარგებს და ველარ გავათხოვებ, არტისტკად მიიღეთო! (თავს ჩაიქნევს) ნუთუ ერთი კლიენტიც არ მოსულა დღეს ჩემთან? (შემადის მუორე პაქტი რეუულებით ხელში. ხელს აწამუკვან)

## XI

### პეტრა და იმორა კოეტი

**პეტ.** დაბრძანდით. (თავისთვის) ეს სწორეთ კლიენტია და იმოდენა საქმეები ჰქონია, რომ გვარიანი გონორარი მერგება.

**2 პოეტი.** ეს ყველა ჩემი ნაწარმოები გახლავთ. მაგრამ არ გეგონოთ, რომ ამაზე მე-

ტი არა მქონდეს. ეს მხოლოდ მესადია ჩემი ხელთნაწერებისა. მე მხოლოდ რამოდენიმე დრამა მოვიტანე, რომ გაგაცნოთ, როგორც დრამატული გამგეობის წევრს. (გადაშლის ერთს) რადგანაც იქ... (ხალისაჟეს ხელს აშვეკს) თითქმის აღარავინ აღარ არის, ამიტომ მე მოკლეთ გაგაცნობთ.

**პეტ.** უმჯობესია, დამიტოვოთ და მე თვითონ წავიკითხავ. ან და გამგეობაში წარმოადგინეთ და იქ წავიკითხავთ.

**2 პოეტი.** შეიძლება ჩემი ხელი კარგად ვერ გაარჩიოთ. მე ბევრ დროს არ წავართმევთ. აი ეს დრამა სახელად „სიკვდილი და აღდგომა“. აქ არის ფილოსოფია სიცოცხლისა ანუ უკვდავებისა. ახლგაზდა, ლამაზი, ნორჩი ქალი ვერა არის გამომხატველი სიცოცხლისა, ხნიერი, ჩამომხმარი, კუზიანი ერასტი წარმოადგენს სიკვდილს. დრამაში ათი მოქმედებაა და ოცი სურათი. ასე რომ ერთ სილამოს ვერ გათავდება, უნდა ითამაშოთ ზედი-ზედ ორ სალამოს, ისე, როგორც იბსენის ბრანდი. მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ შესანიშნავი რამ არის. აი, ერთი მონოლოგი. (ზეზე ადგება) სიკვდილი მიმართავს სამყაროს ბნელ ძალებს: ჰოი, ეშმაკნო და ჯოჯოხეთო! ჰოი, ცეცხლის ალებო და მეხთა გრიალნო! ზღვის ტალღებო და ძლიერნო ქარნო! ქარიშხალნო, ლამის წყვილიანო! ზამთრისა სუსხნო და ყველა ძალნო-დიდნო! აღქაჯებო და ქაჯებო! მდევებო და მაჯლაჯუნანო! შემოკრბით ჩემს გარშემო, მე უნდა მოვტაცო დედამიწას ვერა, ის ჩემია, მხოლოდ ჩემია! ის მარტო მე მეკუთვნის, ის მხოლოდ მე მეკუთვნის! ძლიერმა სიყვარულმა დაისადგურა ჩემს გულში, მე მივანგრ-მოვანგრე ყველაფერს, მე მოესპობ ყველაფერს, მე დავღეწავ დედამიწას და ვერა კი ჩემი იქნება, მარტო მემი, მხოლოდ ჩემი! (თანდათან რაფში შედის და სტენსზე გოჭივით დაბის, შემდეგ მუხლკებზე დაქუება და თათქას დატყუფას) ძალნო ციურნო, ჯოჯოხეთის ალებო, მეხთა გრიალნო, ზღვის ტალღებო, ქარნო ძლიერნო და ქარიშხალნო, ლამის წყვილიანო, შემოკრბით ჩემთან!

**პეტ.** (თავისთვის ხელაშურბილი) ღმერთო, რა შეგცოდნე ამის ფასი!

**2 პოეტი.** (წამოხტება) მოუმატეთ ამას



გრიმი. შემდეგ ის, რომ სცენაზე გრუხუნის უნდა გრიალებდეს ამ დროს, ელვა იყოს და ქარიშხალი და დარწმუნდებით, რომ საშინელი სურათი იქნება, საშინელი. ერთის სიტყვით ძლიერ შთაბეჭდილებას მოახდენს. მთელი დრამა ბრძოლაა ვერასა და ერასტის შუა. ერასტის გარშემო თავს იყრიან ბუნების ბნელი, გამანადგურებელი ძალები. ვერას გარშემო კი მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ყვავილები და ამ ბრძოლაში ვერა იმარჯვებს. ერასტი კვდება და ბოლოს მზე ამბობს: ვერამ სძლია ერასტს, სიცოცხლემ დასთრგუნა სიკვდილი. შემოკრებით ჩემთან, ვისაც სიცოცხლე გწყურიათო. ამას იმიტომ ამბობს, რომ დრამის ბოლოში ვერას მზე ირთავს. ამგვარად ეს დრამა ფილოსოფიური-სიმბოლისტურია. (გადაშლის შედეგად ხელსაწივს) აი, მეორე დრამა, რომლის შინაარსიც ფილოსოფიურ-მისტიკურ-ტრაგიკულია.

**პეტ.** (გააწყვეტინებს) მე დამიტოვეთ და მე თვითონ წავიკითხავ.

**2 პოეტი.** არა, მე მხოლოდ შინაარსს გაგაცნობთ, რომ მერე უფრო ადვილად გაიგოთ. აქ არის კეთილისა და ბოროტის შეტაკება. საშინელი ბნელი ღამეა, წვიმს, გრუხუნებს, ელვაა, დედამიწა იძვრის. რაღაც დემონური ხარხარი ისმის დრო-დრო. ასე უნდა გაგრძელდეს ნახევარ საათს, რომ მაკურებლები რაღაც საშინელი მოლოდინით გაიჟღერდნენ. შემდეგ ყოველისფერი მიყუჩდება ცოტა ხანს და ისეთი გრუხუნის გაისმის, თითქო დედამიწა გაირღვაო, გავარდება ათი მეხი, სცენა ოდნავ განათლდება და გაპობილი დედამიწიდან ამოვა უზარ-მაზარი, საშინელი სახის რქებიანი და ბანჯღვლიანი არსება. ეს არის ბოროტება; ცეცხლის თვალებით მიმოიხედავს გარშემო. სცენა გაივსება ალებით, ალქაჯებით, ეშმაკებით და ყველანი იმის ფერხთქვეშ გაიფანტებიან. სამაგალითო სურათია, სამაგალითო. თამამად შემოძლია ვსაქვა, რომ თანამედროვე ლიტერატურაში, არაფერი ამის მგზავსი, არ მოიპოვება. შემდეგ იწყება სამაგალითო მონოლოგი ბოროტებისა: (დუქსად)

უნდა დავიპყრო ქვეყნიერები,  
დავიმორჩილო ყველა ერები!

მე ვარ მპყრობელი ქვეყნიერების  
მე ვარ ბატონი ყველა ერების!  
მე უნდა დავცე ყველას თავზარი;  
დავაწყებინო ყველას ზანზარი.  
ყველგან ესმოდას გლოვისა ზარი,  
იყოს ცხივრება მით შესაზარი.  
სისხლებით უნდა მოვრწყო მთა-ბარი,  
ცხადათ ვუქციო ყველას სისმარი.  
უნდა წავკიდო ცოლი და ქმარი  
და გავამეფო ყველგან ზამთარი.

ეს მონოლოგი ძალიან ღიღია, მაგრამ თქვენ აქედანაც დარწმუნდებით რამდენი მუსიკალობა და რამდენად მდიდარი რითმია. მეორე მოქმედება წარმოადგენს საუცხოო მთვარიან ღამეს, ისმის საამური მუსიკა, ბულ-ბულები გალობენ. წარმოიდგინეთ, მე რომ ეს დავეწერე და წავიკითხე, რაღაც არა ჩვეულებრივმა ძალამ დამირბინა მთელ ძარღვებში. ავენთე, გიჟივით გავარდი დიასახლისის ოჯახში და კოცნა დავუწყე დიასახლისს, მიუხედავად იმისა, რომ ის თითქმის სამოციან წლის არის. ისეთი ძლიერი სიყვარული ვიგრძენი, რომ არ ვიცოდი რა მექნა.


**პეტ.** წარმოიდგინეთ, რა იქნება თქვენი დრამა რომ დადგან. სიყვარული გაათავებს თუ არა თავის მონოლოგს, მთელს თეატრში კოცნა შეიქნება.

**2 პოეტი.** დიახ, დიახ!.. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასე მოხდება. თქვენ ცოლიანი ხართ, არა?

**პეტ.** დიახ.

**2 პოეტი.** ოო, როცა თქვენ და თქვენი ცოლი იქნებით მარტო, მაშინ წაიკითხეთ ორივემ. ჯერ-ჯერობით მე ამ ორ პიესას გიტოვებთ, ბევრი თვალყურება ამათ არ უნდა. თავიდან ბოლომდე ჩემის ნერვების ნაწურია ორივე. ხოლო ჩემი პირობა შემდეგია: ორივე პიესა ხუთჯერ მხოლოდ ჩემ სასარგებლოდ უნდა დადგათ, გარდა ხარჯებისა, რასაკვირელია. შემდეგ ოთხჯერ სანახევროდ და ნახევარი მე, ნახევარი თქვენ. მერე კი სულ თქვენთვის მიჩუქებია. ახლა კი მშვიდობით. (ხელს აწმუქებს და გადის)

**პეტ.** აი, მეხი კი დაგეცა მაგ ცარიელ გოგრაზე. (დაჯდება) უუჰ! ერა ტიბის ხალხმა



დაიწყო ჩემთან სიარული. ე რა ხათაბალას გადავეკიდე! თუ ასე გაგრძელდა რამდენიმე ხანს, უნდა გავიპარო სადმე სწორეთ.

(შემოდის კარგად მომწიფებული, უფასათათ ზრან-ჭია და გადატყუარჭყუად მოლაზარაკე ქალი)

XII

პეტრე და ქალი

**ქალი.** (ხელს გაუწვდის) ღიზა ბერიძისა გახლავართ. (პეტრე წამოდგება და ხელს ახთმევის) მართალია გათხოვილი გახლავართ, მაგრამ ჩემი ქმარი ისეთი დესპოტი იყო, ისეთი ტარანი, ისეთი მტარვლი, ისეთი რეაქციონერი ბურჟუა და არისტოკრატა, რომ მე იმასთან ცხოვრება აბა როგორ შემეძლო. გავშორდი.

**პეტ.** (დაჯდება და კაფას აადებს) დაბრძანდით.

**ქალი.** (დაჯდება) გამაღობთ.

**პეტ.** (თავისთვის) ძლივს არ მოვიდა ერთი კლიენტი. უთუოდ რაზვოდი უნდა. (მას) მე შემიძლია ყველაფერი დახმარება გაგიწიოთ.

**ქალი.** სწორედ მაგასა გთხოვთ. მე საშინელი წყურვილი მაქვს, რომ მთელი ჩემი ძალღონით სამშობლოს ვემსახურო, მთელი ჩემი სიცოცხლე სამშობლოს შევსწირო.

**პეტ.** (თავისთვის) რა შუაშია რაზვოდი და სამშობლოს სამსახური; არ მესმის. თუნდა თავი მაჩქერით, ამასაც არტისტობა თუ არ უნდა. (მას) ერთი ეს მიბრძანეთ, თქვენ რაზვოდი გინდათ, არა?

**ქალი.** რაზვოდი რა ეწმაცად მინდა, თავში ქვა უხლია ჩემს ქმარსაც და რაზვოდსაც. მე თავისუფალი სიყვარულის მომხრე ვარ, და არა ბურჟუაზიული ქორწინებისა. ქალაღლის ნაფლეთი ჩემთვის საჭირო არ არის. უკაცრავად, თქვენ სოციალ-დემოკრატ ბრძანდებით, არა?

**პეტ.** არა. მე ფედერალისტი გახლავართ.

**ქალი.** მე მინდა ვემსახურო სამშობლოს იმ დარგში, რაშიაც ნიჭი მაქვს. მე კი მსახიობის ნიჭი მაქვს. ოოოჰ, ვერ წარმოიდგენთ როგორ მიყვარს სცენა.

**პეტ.** (თავისთვის) ღმერთო, ეს რა ჭირს გადავეკიდე!

**ქალი.** ზალაში აღარავინ აღარ გახლავთ, მე უკანასკნელი ვიყავი. თუმცა აღრე მოვედი,

მაგრამ ბოლომდე დავრჩი, რომ ცოტა მეტი დრო წავართვათ. ვერ წარმოიდგენთ, რა რიგად მიყვარს სცენა. სცენის გახსენებაზე მთელს ტანში, მთელს ძარღვებში რაღაც ჟრუანტელი დამირბენს ხოლმე. მივმართე ჩვენს რეჟისორს, ჯერ კი დამპირდა, შემდეგ უარი მითხრა, როგორ მოგწონთ? ისეთი საძაგელი ხალხია ეს ფედერალისტები, ისეთი საზიზღარი, რომ მეტი არ შეიძლება. (ნაზის კაფათა) რცით, მე ახლა სოციალ-დემოკრატა გახლავართ, დაახ!.. უკაცრავად, თქვენ სოციალ-დემოკრატ ბრძანდებით, არა?

**პეტ.** არა. მე ფედერალისტი გახლავართ.

**ქალი.** (ნასდადგვად იცინის) ფუი, სულ დავიბენი. ახლა მეც ფედერალისტა გახლავართ. დიახ, წინეთ სოციალდემოკრატა ვიყავი, მაგრამ ისეთი საძაგელი ხალხია სოციალ-დემოკრატები, ისეთი საზიზღარი, რომ მეტი არ შეიძლება. ახლა გაჩეობის წევრებს უნდა მივმართო. ორთან ვიყავი და შემპირდენ. ახლა თქვენთან ვიახელით, რომ დააქროთ ის ცეცხლი, რომელიც ჩემს ძარღვებშია. მე ერთ მონოლოგს ვიტყვი.

**პეტ.** (გაწვევებებს) ეგ სრულებითა საჭირო არ არის. გამოსაცდელი წარმოდგენა იქნება მაინც.

**ქალი.** არა, იქნება მე არავითარი ნიჭი არა მაქვს და რად უნდა ჩაგაყენოთ უხერხულ მღვთმარებაში. რომ შექმდე გისაყვედურონ? მხოლოდ მე ვიტყვოდი მონოლოგს ჩემი საკუთარ დრამიდან. მე დრამებსაც ვწერ; ერთი ამ ცოტა ხანში კიდევაც დაიბეჭდება და ერთ ეგზემპლიარს თქვენ მოგართმევთ. ჩემი შესაფერისია ლირიკულ ტრადიკულ-დრამატიული როლები. ისეთი ცრემლები მომდის, ისეთი, რომა ათ ცხვირსახოცს ვასველებ.

**პეტ.** მაშასადამე, როდესაც თქვენ ითამაშებთ, უკან ერთი კაცი უნდა იდგეს ცხვირსახოცებით სავსე კალათით?

**ქალი.** (იდიმება) დიახ, დიახ... მე ერთი საუცხოვო დრამა მაქვს „ლევანი და მარო“. ლევანსა და მაროს გაგიგებთ თუყვართ ერთნაერთი. მაგრამ მარო ზიიღებს უსახელო წერილს, რომელიც ატყობინებს: ლევანი გარყვნილი, საძაგელი კაციაო. მარო დაშორდება მას. გავილის კარგა ხანი, და ამისობაში მარო დარწმუნ-

ეროვნული  
და მკვლევარი

დება, რომ ის შეცდომაში შეიყვანეს. როდესაც შეხედებთან ერთმანეთს, აქ იწყება მაროს მონოლოგი. (წამოადგება და განსეუ გადგება. ხელებს გაშლის, სახეზე გააცემა ესტება. ჰეტრეზის და დამილით შეჩერება) ლევან!.. ლევან!.. ლევან!.. ჩემო ლევან!.. ლევან!.. ჩემო... ჩემო... ჩემო... ლევან!.. ჩემო ლევან!.. (წინ წამოაწევს, შედგება. სულ ჰეტრეს შესხერება. შემდეგ უკან დაიწევს. მთელი მხნფრების დროს ხან წინ წამოაწევს, ხან უკან. ხელებს უშნით იმტვრევს და თვალებს ატრიალებს) უუჰ!.. უჰ!.. (ხელები ჩამოეშვება და ქვათინებს რამდენსამე ხანს) მე შევიქვნი მსხვერპლი საზოგადო სიცრუისა, სიხარბისა, გარყვნილებისა!.. მე მსხვერპლი ვარ, უდანაშაულო მსხვერპლი, ლევან!.. ლევან, მსხვერპლი ვარ... ლევან... მსხვერპლი... უდანაშაულო მსხვერპლი, ლევან... ჩემო ლევან, რა რიგ მიყვარხარ... გაგიყვებით მიყვარხარ!.. (ჰეტრეს ესევე. ჰეტრე ცდილობს მოიშოროს, მაგრამ ქალი მაგრად ხევეს კისერზე ხელებს. ამ დროს ზაღასი გამოჟღერს ჰეტრეს ცოლი და სიდედრი)

XIII

პეტრე, ქალი, ცოლი, სიდედრი და იასონი

**პეტ.** რას შერბით, მე ხომ ლევანი არა ვარ.

**ქალი.** უშენოთ სიცოცხლე არ შემოიძლია... მე შენ მიყვარხარ, მხოლოდ შენ, ჩემო ლევან, ჩემო მარგალიტო!..

**სიდ.** იქ არავინ არის?

**იას.** ერთი ქალია და აღარ გამოვიდა.

**ცოლი.** (გაცეცხული) ერთა ქალია? ლამაზია?

**იას.** (დამილით) არა უშავს-რა, ქალბატონო. (სიდედრი და ცოლი კაბინეტის კარებთან მივლენ, დაიკუთხებიან და უურს უგდებენ, ხან შიგ იჭვრიტებიან)

**ქალი.** მე შენ ვერ მოგშორდები, წამიყვანე სადაც გინდა, უშენოთ ჩემი დღენი მოწამლოულია!.. უშენოთ მე საცოცხლე არ შემოიძლიან! მიყვარხარ, მიყვარხარ! გაგიყვებით, გაგიყვებით, გაგიყვებით! მე შენთვის ვცხოვრებ, შენთვისა ვდენები! (ცოლი და სიდედრი ერთმანეთს გადახედავენ)

**სიდ.** გესმის?

**ცოლი.** ეს რა ამბავია?

**სიდ.** (კარს შეადებს ერთბაშად და შექვლავს)  
**ქალი.** (ჰეტრეს კისერზე ჩამოკიდებული) უშენოთ ცხოვრება მე არ შემოიძლია!

**ცოლი.** (დაეცემა სკამზე და ისტეკავს მოუვა, კივის, ტირის, ყვირის. სიდედრი ქალს მიყარება უკანადან)

**სიდ.** აი, შე წუწკო! შე კახა, შენა!.. (ეწვევს ქალს უკანადან, ქალი ჰეტრეს კისერზე ჩამოკიდებული, ამგვარად დარბიან სცენაზე. ბოლოს ჰეტრე გამოუსვლტება ქალს ხელიდან და სკამზე დაეცემა. ქალი კივილით გარედ გარბის, უკან სიდედრი მისდევს. იასონი იღინის. სურათი.) \*)

ფ ა რ დ ა

ივ. გომიზათელი



ღამის ფიქრები

ზამთრის გასულს საშინელი სიცვიე იდგა. საღამო იყო. ქარს გაჰქონდა ზუზუნნი სახლების სახურავებზე, თითქოს ბავშვივით ტაროდა, ხან გაჰკიოდა, ხან ღმუოდა, ხან კენესოდა ავადმყოფსავით...

უცებ ისე მძლავრად დაბერავდა, ისე მრისხანედ გადივლიდა სახურავებზე, რომ იერიშზე მისულ ჯარს მოგაგონებდა!..

გორხალას აყრიდა თანჯარას და მიკაკუნებდა, თითქოს მეხვეწებოდა: შემოვი, გავიყინეო!..

მარტოკა ვიყავ ოთახში! ვარშემო სიჩუმე გამეფებულიყო! შავმა ფიქრებმა ჩემი გონება წაიღეს და შორს გადამახედეს!..

უფსკრულში დავინახე შავი ადამიანები!.. ბოროტის ღიმილი მათ სახეზე თამაშობდა!.. თვალეში ამოვიკითხე ზიზლი, შური და მხეცობა!

თავზე დასტრიალებდა მათი ბატონი კოკლი, კუზიანი, უმგზავსი ბებერი და აქვებდა!..

შავი კაცებიც გულ მოდგინედ მუშაობდენ და შავ ყუთებში მარდად აწყობდენ ბორკილებს, თოკებს, ხიშტებს, ტყვია წამალსა და რაღაც მანქანებით უცებ აქრობდენ იქიდან!..

ბატონი-კი სატანიურად იღიმებოდა!! უყუ-

\*) ეს ვოდევილი პირველად წარმოადგინა ქართ. დრამ. დასმა ქართულ თეატრში 1910 წ. 7 თებერ.

რები ამ მასალებს და შევძრწუნდი!.. გამოვ-  
ფხიზლდი, ტანში დამაჟრიალა, შემცივდა!..  
გარედ ქარი შხუოდა, ფანჯარაში მიკაკუნებდა!..

მიველ ბუხართან, შევაწყე შეშა, ნაეთი  
შევისხი, და მოვუკიდე!..

დაგრიალდა ბუხარი!..

შეშამ იწყო ტაკატუნი და სისინი!..

ცეცხლი ბუხარში ძლიერდებოდა!.. მე  
ახლოს ვიჯექ და შევეყურებდი! ისევ ჩაფიქრ-  
დი! ბუხარში ცეცხლმა იმატა, სინათლე მოჰ-  
ფინა ოთახს! ვიგრძენ სამაჟური სითბო, და გუ-  
ლიც გამელო, გამელიმა!..

შეშები მთლად ცეცხლის ალში გაეხვიე-  
ნენ და ჩემს ოთახს ნაზს, აღტაცებულ კამკამა  
სინათლესა და სითბოს ჰგვრიდენ!.. გამიელვა  
თავში: ერთს დროს ეს შეშები მედიდურ გაშ-  
ლილ შტოებით მაგრად ფესვ მოკიდებულ ხეებს  
წარმოადგენენ, და მალლა მთიდან ამაყად დას-  
ცქეროდენ მიდამოსა და ბუნებას ამშვენე-  
რებდენ!.. ცოცხლობდენ და ხარობდენ!.. ახ-  
ლა-კი, ძირში მოჭრილნი, შეშად დაქუცვატე-  
ბულნი ბუხარში უკანასკნელად სითბოსა იძ-  
ლეოდენ...

ყველა მშვენიერებას ადამიანი თვის და-  
საკმაყოფილებლად აგრე უღებს ბოლოს!

ამსხვრევს ბუმბერაზებსა, ჰგლეჯს კოკორ-  
სა, მაგრამ ბუნება მაინც ვერ შეაკვდება!

ნაყოფი უფრო მძლავრად აბიბინდება და  
შეამკობს ველს, მთას, მანდვრებსა!.. აგრედვე  
ვერ ჩააქრობენ სინათლეს, ვერ დაახშობენ მის  
ნათელსა!..

ციხე-სიმაგრეს, მისთვის აშენებულსა, დრო  
მოუღებს ბოლოსა, კვლავ ბრწყინვალედ გა-  
მოაშუქებს და სითბოს მოჰკვრის არე-მარესა!..

მინელდა ცეცხლი, ნაკვერჩხლად იქცა,  
ზედ ნაცარი გადაეფარა!

მეც წამოვდექ, ფიქრებით დაღალულა მივ-  
წყეი ტახტზედა!.. ქარი ჩავარდა, ფანჯარაშიაც  
აღარ ისმოდა კაკუნი!..

გიორგი ფრეცხოველი

**დედავ ბუნებავ!**

ბედით ტანჯული, სოფლით დევნილი,  
ურწმუნო ფიქრთგან ბოროტ-ღელვილი,  
დედა-ბუნებავ! ჩემო ღვთაებავ!  
შესსკენ მოვილტვი, უსასოთ ქმნილი.

ტანჯვა-ვაიებას ველარ გავუძელ,  
სული მოითხოვს მშვიდ ნავთსაყუდარს,  
ვერ მივეთვისე ადამიანსა  
სულ-მდაბალ მონას, უღმერთოს, მზაკვარს.

მიყვარს ეგ შენი მშვენიერება,  
უკვდავებისა გამომბატველი,  
ოდეს შენთან ვარ რაღას დამაკლებს  
გულის დამწველი, შავი ნალველი?

ტანჯვათ სავანე არის სოფელი,  
ამაოება—ჩვენი ცხოვრება,  
მაგრამ მე შევბად ისიც მეყოფა,  
რომ თვით სამარე შენთან მექნება...

ფ. ცაბიძე



ალ. გარ. ჭავჭავაძე

**ღრამატრიულ მიღვაწე. ასპარეზზე**

ალ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

(გაგბტუღუმა. ის. „თეატრი და ცნობიერება“ № 13)

თავ. აღ. გარ. ჭავჭავაძე დაიბადა 1786 წ.  
ზეტერბურგს. იგი მონათლას ეკატერინას იმპერატრი-  
ცამ. 1793 წ. ზატარა ალექსანდრე მიაბარეს  
ზეტერბურგის ერთს კერძო ზანსონში, რომლის გამ-  
გეც იყო ერთი განათლებული ფრანგი. სასწავლე-  
ბელში აღ. ჭავჭავაძე დაშთა კარგა ხანს, ზედმი-  
წვენიით შეისწავლა რუსული და ფრანგული ენები,  
მიადო დროის შესაფერი განათლება. კარგად სწავ-  
ლობდა ქართულს ენასაც.

დიდი მოყვარული იყო ქართული ერისა. გული  
დიდად ეთანადებოდა ქართველთ შეფეთა ტახტის  
მოშლასზე თბილისში. 1801 წ. საქართველოს რუ-  
სეთთან დაკავშირების შემდეგ მისმა მამამ, გარსე-  
ვან ჭავჭავაძემ, სახლგაზდა ალექსანდრე თბილისში  
ჩამოიყვანა, მანამდე ალექსანდრეს თბილისი თვალთ

არც კი ენახა. ჩამოსვლისთანავე მიემხრო ალექსანდრე ბატონიშვილის ზარტას, რუსთა წინააღმდეგობა იბრძოდა. მერე რუსის სამსახურში შევიდა, ბოლოს მთავარი გენერალ-ლეიტენანტობამდის. გარდაიცვალა 1846 წ.

აღ. ჭავჭავაძე თავის განათლების გარეშე ბუნებით ნიჭიერი იყო, კარგი მკვლანი და მცოდნე მთარგმნელი. 1805 წ. სთარგმნა ფრანგულის ენიდან რევოლუციონური ლექსი «დაბალ ჩავგრით, მტაცებლობით და ხეველით». მასვე სთარგმნა ფრანგულის ენიდან სხვა და სხვა დრამები და ტრაგედიები, მაგალითობ: — „ცინა“. ტრაგედია რსინისა 1810 წ. ლექსად; ეს თარგმანი დღემდე ცალკე დაუბეჭდავად არის დაშენილი. „ცინის“ რედაქტორმა ივანე კერესელიძემ მიამბო, რომ რუსის გარდა აღ. ჭავჭავაძეს ფრანგულის ენიდან შექმნილისა და სხ. ზოგი დრამებიც უთარგმნიათ. უფელ აქედან სხნს, რომ ა. ჭ. კარგი მცოდნე იყო დრამატულის მწერლობისა, შეგნებული ჰქონდა თეატრის მნიშვნელობა.

აღ. ჭავჭავაძის-მიერ სთარგმნ დრამა-ტრაგედიათგან ჩვენ დრომდის მთავარი ვოლტერის — „ზაირა“-მ, თარგმანი ლექსად, ხელთნაწერი მთავრება ძველს წიგნებში. „ალზირა“, ვოლტერისვე ტრაგედია, ლექსად. ორივე ეს ტრაგედია 1820 წელშია სთარგმნი ფრანგულის ენიდან. ამთ მერე სთარგმნა ლექსადვე ტრაგედია „მერობა“ 1825 წ. და იმავე დროს ახუ 1828 წ. უთარგმნია ვოლტერისვე ტრაგედია „მუჰამედი“. ფრანგულიდანვე სთარგმნა დრამა „ერკლე“ ლექსად, ერთ მოქმედებად, ამის ხელთნაწერი დაცულია „წერაკითხვის სამკათხველოში“. სხვა ტრაგედიებიც ჰქონია სთარგმნი, მაგრამ სმწუხაროდ მათ ჩვენ დრომდის ვერ მთავრეს.

„მუჰამედი“-ს თარგმანი კვადვეს უფლებას ვსთქვათ, რომ აღ. ჭავჭავაძე თავის დროის კვალად დრამდ განათლებული და სრულიად მოქალაქურის მითარტულების კაცი ეოფილა, რადგანაც „მუჰამედი“-ში მავმადი გამოყვანილია, როგორც ხალხის ოსტატურად მომტუეული, რომელსაც ხელში უბრალე ხალხის მოსტუეული კვერთხი უკავია, მის სმუღლებით უბრალე ხალხს სიბრევისაკენ ამგზავრებს და ფინტიზმს უნერგავს. სხვაც ბევრი რამ არის ამ ტრაგედიაში გამოყვანილი. ასეთი ნაწარმოების თარგმნა ქართულს ენაზე რავდენათაც სსარტებლოა იმდენად სკვირველი. აღბად იუვენ ქართულთ შორის ამის გამოკენი, რომ ასეთი ზიკები თარგმნებოდა.

აღ. ჭავჭავაძის დროსვე ჩვენს ქვეყანაში მთარგმნელად მკვლანს ნიკოლოზ ბარათაშვილს, მაგრამ ამასვე შემდეგ წერალოში.

(შემდეგი იქნება)

ბ. ჭიჭინაძე

# 1909<sup>09</sup><sub>10</sub> წ. სეზონი

(გავრძეულია. იხ. „თ.“ — გ. № 11)

მ. შუბალაშვილების სხალხე სხალში ქალაქის საბჭომ დაუთმო ქართულ დრამატ. საზოგადოებას თვეში 3 დღე. გამოკობამ შესაძლებლად დაიხსნა 1908 წ. ეს დღეები გარდაცა სტენის მოყვარეთა ჯგუფისათვის, რომელიც მიეკვდლა სხალხე უნივერსიტეტის ქართულ სექციას და მართავდა წარმოდგენებს. წარმოდგენების საქმე წესიერად მიმდინარეობდა, მაგრამ სმწუხაროდ თვით სტენის მოყვარეთა ჯგუფში ჩამოყარდა უთანხმოება და საქმე იქამდის გამოწვავდა, რომ წარმოდგენების ბედი ხოფათში ჩავარდა. ამასთან, როგორც გამოყოფილი ჯგუფი. ისე თვით უნივერსიტეტის სექციას და გამოკობას შეეციდენ ერთმანერთს და დღეების მიოფისებაც განიზრახეს ერთ დღეს 21 ნოემბერს რომ ორივე მხარეს დაეღვა წარმოდგენები. გამოკობამ მიაქცია უურადღება ამ დავას, ხელახლად დამიტკიცა ქალაქის გამოკობისაგან კადმცემული დღეები და მოიწვია ორივე მოზირდაზირე მხარე, რომ საქმე დაწვრიდებით გამოკობას და შესაფერი დონე ეხმარა. 18 ნოემბერს გამოკობამ მოისმინა მოხსენება სხ. უნივერსიტეტის გამოკობის წარმომადგენლებისა, სხ. წარმოდგენების მმართველ სექციის წევრთა და ახლად დაარსებულ წრის წარმომადგენელთა — ამ უთანხმოების შესახებ, და მიიღო რა მხედველობაში დრამატუელ ხელაგნებისა და მდაბიო ხალხის ინტერესები 19 ნოემბერს თავის სხალმაზე დაადგინა: 1, სსურველია, რომ არსებობდეს ცალკე წრე შუბ. სხალხე სხალში წარმოდგენების გასამართავად; 2, შუბალაშვილის სხალხე სხალში ქართულ წარმოდგენების დღეები კადვეცეს ამ სხალთან ახლად დაარსებულ ქართულს წრეს მხლოდ იმ დღედან, როდესაც იგი მიიღებს დასამტკიცებლად წარდგენილს დემოკრატუელ ნიადგზუდ ახლად შესწორებულ წესდებსა და ხელახლად მთახდენს გამოკობის წევრთა არჩევნებს. მანამდის კი სხალხე სხალში წარმოდგენების მართვა მიენდოს ქარ. დრ. დასის მსახიობს კ. შთირიშვილს, რომელსაც დაეკადოს

ანგარიშები წარუდგინოს მომავალ ახლად არჩეულ წრის გამგეობას.

ეს დადგენილება სისრულეში იქნა მოყვანილი და შემდეგ წარმოდგენებიც ჩვეულებრივ წესიერად მიმდინარეობდნენ. სახალხო უნივერს. გამგეობამ განსახიერა გამგეობის დადგენილება ქალაქის საბჭოში, რომელმაც ეს საკანი ხელახლად განიხილა და გამგეობის დადგენილება ძალაში დატოვა. სახალხო სახლში წარმომადგენლად გამგეობამ აირჩია ბ. ივ. გამართელი. ქალაქის საბჭოს კომისიაში, რომელიც განაგებს სახალხო სახლს, ქართულ დრამ. საზოგ. წარმომადგენლად არჩეულ იყო ალ. ჯაბაძე, შემდეგ ალ. ირ. ნანობაშვილი, მაგრამ რადგანაც მოწმობა ვერ წარადგინეს ტენზისა, ისინი დამტკიცებული არ იქნენ და ამიტომ ახალი წარმომადგენლის არჩევა საჭიროა.

**6. მ. გაბუნია-ცაგარლის იუბილე**

დრამ. საზოგ. გამგეობამ თავის დროზე დაადგინა, რომ შარშანდელ სეზონშივე, ან გაზაფხულზე მაინც გაემართა დამსახურებული არტისტის ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის 30 წლის მოღვაწეობის იუბილე. მაგრამ ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა მოხერხდა მხოლოდ ამ სეზონში.

1909 წლის 3 ოქტომბერს გამგეობამ მოიწვია თავის სხდომაზე ბევრი საზოგადო და ასეთი დღესასწაულების მოწვევაში გამოცდილი ზინი და დაადგინა გაემართა ქართულ თეატრში დღესასწაული 29 ნოემბერს. საქმის მოწეობა შეეძლო სკანკებოთ ამორჩეულ საიუბილეო კომიტეტს, რომელშიც ამორჩეულ იქნენ: კნ. ელისაბ. ირაკ. ას. ჯამბაყურ-ობრელიანისა (თავმჯდომარე), ზ. ა. გოთუა (თავმჯდომარის ამხანაგი), ალ. ზ. სარაჯიშვილი (ხაზინადარი) ან. სოფ. ლუღაძე (მდივანი), კნ. ან. გ. ას. მაჩაბლისა, მარ. ივ. ასული დემურისა, მარ. ნ. მალიკვისა-ვედრებისელი, ნ. გ. ქართველიშვილი, ნ. დ. ერისთავი, მის. დ. კილასანიძე, ნ. ა. ტარსანიძე, ილ. ზურაბიშვილი, ალ. შინინოვი, იოს. ნ. მერკვილაძე და არტისტების წარმომადგენლები ელ. ხერქეშიშვილისა და კ. მესხია. საქმის მოწეობას მოწვეულ იქნა იოს. იმედაშვილი. კომიტეტს შეეძლო 12 სხდომა და ეფექტავე ღონისძიება იხმარა, რომ დღესასწაული კარგად მოეწყო.

29 ნოემბერს დილით გაიმართა თეატრში მოლოცვა—სიტყვების და ადრესების წაკითხვა.

სულ დაესწრო 138 დეპუტატია, წარმოსთქვენ

38 სიტყვა, წაკითხეს 22 ადრესი, გამოგზავნილი იქნა სამასამდე დეპეშა, ცნამდე ოქროს, ვერცხლის და ძვირფასი თვლებით მორთული საჩუქარი. სულამის გაიმართა წარმოდგენა: I ორი ობოლი,

- II დაქტეული ოჯახი,
- III ხანუმა.

მეორე მოქმედების შემდეგ იუბილეარს მასდღაც სიტყვები უთხრეს თბილისისა და ქუთაისის დასის წარმომადგენლებმა და დრამატურგმა გაბ. სუბდუკიანცმა.

**შემოსავალი იყო:**

დილისა და სდამოს წარმოდგენების	1718 მ. 5 კ.
თბილისის თავად-ახსნაურობისგან	400 მ.
დ. ზ. სარაჯიშვილისგან	300 „
ი. ივ. ას. სარაჯიშვილისგან	200 „
ქალ. სახუმიდან	200 „
ნ. დ. ზუბალაფისგან	100 „
ს. ტერსტეუანოვისგან	100 „
კავკავის ქართველთაგან	100 „
ქალ. ფოთიდან	100 „
როსტოვის ქართველთაგან (ელაიძის ხელით)	85 „
ნ. გ. განძიელისგან	60 „
მ. ა. ქლანთაროვისგან	40 „
ახალსენაკის საზოგადოებისგან	35 „
სახელმ. საბჭოს წევრის ან. მ. ერისთავისგან	25 „
ექ. ი. ბ. კასხარიაწისგან	25 „
ალ. თ. სარაჯიშვილისგან	25 „
ექ. თ. ი. დ. ბექთაშვილისგან	20 „
ონ. ლას. შავგულიძისგან	15 „
კნ. მ. შ. თუმანოვისგან	10 „
ა. ა. ენფიანჯიანისგან	10 „
თავ. დ. ა. გურამოვისგან	10 „
ვ. გ. ბერეაშვილისგან	6 „

სულ 3654 მ. 05 კ.

გასავალი იყო 854 მ. 42 კ.

შეინდა შემოსავალი დარჩა 2799 მ. 63 კ., რომელიც ჩაბარდა კომიტეტის ხაზინადარს ალ. ზ. სარაჯიშვილს იუბილეარის გადასაცემად.

ქართ. დრ. საზოგ. გამგეობა უცხადებს უგულოთადეს მადლობას ეველს იმ ზირთა და დაწესებულებათ, ვინც მიიღეს დღესასწაულში მონაწილეობა და აგრედევი ვინც ხელი შეუწყო მის წარმატებას, როგორც ზირადის შრომით, ისე შემოწირულებითაც.

პავ. იოს. თუმანიშვილის დებეშა:

ნება მიბძლით, უფლად ზატივრემულ ბატონა ნატალია, მოგოდენათ ჩემი მადლიერად თქვენი იშვიათი სასტენო მადლიერების იუბილეს ვამო, რომელმაც ღირსეულად დაიშინა მთელი ქართველობის მადლობა. ღმერთმა იხუროს თქვენი ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობა ჩვენი ეროვნული სტენის დასამშვენებლად. თქვენი იუბილეს ღირსს აღსანიშნავად ვნიშნავ კანკურსს ერთს ან ორ მოქმედებანი ზიესისათვის, რომელიც მოძღვნილი უნდა იყოს თქვენი ძვირფასი სახელის ზატივსაცემლად. კანკურსის ვადათ ითვლება ერთი წელიწადი დღიდან თქვენის იუბილეს გადახდას. ზიფეკლი ზრემია იქნება 200 მან. მეორე - 100 მან. კანკურსის ზირობების გამოკვლევა მინდობილი ექნება ქართულ დრამატულ საზოგადოების გამგეობას.

თავადი პავლუ იოსაძის ბი თუმანიშვილი:

ბარბალე მელიქიანის იუბილე

ქ. დრამ. საზ. გამგეობამ განსაკუთრებული მონაწილეობა მიიღო ბარბალე მელიქიანის 25 წლის

მადლიერების დღესასწაულში, რადგანაც თქვენი იუბილე იუბილე 5 წელიწადი მუდმივად ემსახურებოდა ქართულ სტენს და შედეგში დრო-გამომშობილ იღებოდა მონაწილეობას ქართულ წარმადებებში. საიუბილეო კომიტეტი გამგეობის მხრით წარმომადგენლებად იუბილეს თ. ნ. დ. ერისთავი და თ. კ. ზ. მკაშვილი. იუბილე დღეს გამგეობამ მიართვა თავისის და არტისტების სახელით ვერცხლის გვირგვინი და თ. ნ. დ. ერისთავმა წაიკითხა შესაფერი ადრესი.

გ. გედევანოვის იუბილე

რადგანაც ამ წელს შესრულდა 25 წ., რაც სასტენო ასპირანტზე გამაჟიდა არტისტი გედევანოვი, გამგეობამ დაადგინა იდეალისწილად მისი იუბილე 2 მაისს. ამორჩეულ იქნა განსაკუთრებული კომიტეტი, რომელიც სასრულად მოიყვანს ამ დადგენილებას. კომიტეტი არიან. ლ. მღებრავი (თავმჯდომარე) გ. ნ. ქართველიშვილი (თავმჯდომარის ამხანაგი) იოსებ იმედაშვილი (მდივანი).

სეზონის დასრულებამდის კომიტეტს ჰქონდა 3 სხდომა.


ქალი ლიტერატურასა და ცხოვრებაში

(ნ. აბრამოვიჩის ლექციის გამო)

ქალი — დიდებული პრობლემა კაცობრიობის ისტორიაშია. რა არის ქალი, რათ არის ასეთი და როგორი უნდა იყოს, აი, საკათხი, რომელიც არ აძლევდა, არ აძლევს და არც მისცემს ადამიანს მოსვენებას. ბევრი საყვარელი და სიძულვილი, ბევრი შხაპი და სისათუთე, ბევრი უსამართლობა და საპართლობა დახარჯულა ამ მშვენიერ ხატების რიღეს ასახდელათ. კაცობრიობა სიყრმიდან დაწყებული დღევანდლამდის ან სასოებით შესცქერის ქალის მშვენიერ სახეს, ისახავს ამ სახეს თავის მფარველ ანგელოზათ, მხსნელათ, ან საშინელის ბრალდებებით თავს ატყდება მას, მიწასთან გასწორებას უქადის. ძველ ყბრულ კულტურას ასურ-ბაბილონელთა, სპარსთა, მიდეელთა საზოგადო აზრს ქალი უწმინდურებად ჰქონდა დასახული. ელინთა შეხედულებით ქალი მამაკაცის ესთეტიურ, ეროტიულ და პორნოგრაფიული მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად წარმოშობილი არსება იყო. თუ ებრაელნი, ასურ-ბაბილონელნი, სპარსნი, მიდეელნი რაიმე

სახით ეხებოდენ ქალს, იმიტომ რომ ეს ბუნების-მიერ ნაკარახვევი აუცილებელი კანონი იყო. თუ ელინები თავს ევლებოდენ ქალს, აღმერთებდენ და გუნდრუკს უკმევდენ ყენერას, იმიტომ რომ ყოველივე ეს მათთვის სასიამოვნო იყო. ყოველივე ეს მათ გრძობასა და გონებას საამოდ უღიტივებდა. არც ერთს ამ ხალხთაგანს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ქალსაც აქვს თავისი ინდივიდუალობა, თავისი „მე“, რომ ქალს აქვს თავისი სპეციფიური, მამაკაცისთვის უცხო, ნიჭი და მოთხოვნილებანი. არც ერთს ამ ხალხთაგანს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ეს ნიჭი ერთხელაც მოინდომებს პოტენციურ სახის მიტოვებას, კინეტიურად გამოაშკარავებას, რომ მომწიფებული და დაგუბებული მოთხოვნილებანი ეცდებიან თავის განხორციელებას, რომ მონა-ქალი ერთხელაც იქნება მოისურვებს დამოუკიდებელ არსებობას...

დროთა ბრუნვამ შთანთქა ყოველივე ძველი და მის ნანგრევებზე ააშენა ახალი. გაქრა რჩეული ხალხი — ისრაელიც, გაქრენ ასურ-ბაბი-



ლონელნი, ძველი ელინები. მთელი მათი სულიერი ავლა-დიდება ისტორიულ არქივს გადაეცა, რათა მომავალ ადამიანს თვალი და გონება დაეტკბოს ამ უცხო სანახავით და განცვიფრებულყო თვისსა და ძველის შორის განსხვავებათ, კულტურის ძღვეა-მოსილ წინმსვლელობით.

გაქრა ყოველივე ძველი... ან მიიღო დროისა და სულიერ მოთხოვნილებათა შესაფერი ელფერი.

არ გამქრალა მხოლოდ ქალის შესახებ ძველი აზრი; არც ფერი უცვლია. დღესაც ადამიანის ძღვეა-მოსილი გონება წყვეა-კრულვას უგზავნის ქალს და ეძიებს საშუალებას მის მავნე ზეგავლენის დასათრგუნვად. ფილოსოფიისა და ლიტერატურის ერთი, ფრიად ფართე ნაწილი მხოლოდ ქალს ეხება, ააშკარავებს მის ფიზიკურ და სულიერ ბუნებას, ადასტურებს მის ამორალობას, წვრილმანობას. ბუმბერაზი ფილოსოფოსები და ზეციურ ნიჭით დაჯილდოვებული მწერლები საქვეყნოთ ლაღადებენ, რომ ქალის გაპარჯება—კულტურის სიკვდილია, ვინაიდან ქალის თვით სქესი ეწინააღმდეგება კულტურისნობას. საქვეყნოდ ლაღადებენ, რომ ხელოვნება, ფილოსოფია, მუსიკა, სკულპტურა მამაკაცის სქესის თვისებაა და არა ქალისა.

გატაცებით კითხულობ ნიცშეს ფილოსოფიურ ტრაქტატებს, ვეინინგერის „სქესსა და ხსიათს“, ოქტავ მირბოს „გოლგოთას“, „წამებათა ბაღს“, „ნევრასტენიკის ოცდა-ერთს დღეს“, სტრინდბერგის „შევიცარიულ ნოველებს“ და „სულელის აღსარებას“. მხოლოდ ერთი, უიმედობისა და სასოწარკვეთილების სურათი წარმოგიდგება თვალ-წინ...

განმარტოვებული, უცხო და უარყოფილი დგას ქალი მამაკაცის მიერ შექმნილ ტაძარში. აქ ყოველივე უცხოა მისთვის. მამაკაცს ვერც სულისკვეთებას, ვერც მისი შემოქმედების სიღრმეს და სიდიადეს ვერ მოუხერხებია ქალის გარყვნილის, სატანიურის ბუნების გაუაქიხება. პირიქით, ქალი მთელის თავისი ძალღონით, გონებით, გრძნობით, ნებით, გაიძვერობით, ფლიდობითა და ლალატით ცდილობს მამაკაცის-მიერ ნაშობი კულტურის, ცივილიზაციის ძირიანად აღმოფხვრას. მამაკაცო, მოიკრიფე ძალ-ღონე შენი „მე“-ს დასაცველად. ხომ ხედავ, რომ ქა-

ლი თავის ბინძურებით რყვნის შენს აღზრდენას, შენის გონებასა და გრძნობის ნაყოფს. განდევნე ქალი შენის ტაძრიდან. და თუ მშვენიერ სახით მოკლენილ ამ სატანის განდევნა ყოვლად შეუძლებელია, მიიღე ყოველივე ზომა მის ნების დასაზოხად, მისი გონების და გრძნობის დასახზობად. „ოდეს ქალთან მიდიოდე, არ დაგავიწყდეს შოლტი“. მხოლოდ ამ შოლტის შემწეობით შეიძლება მამაკაცის-მიერ შექმნილ საღაროს მთლიანობის დაცვა, ვინაიდან ქალის პასიური ბუნება მოითხოვს შოლტს, ვინაიდან ქალი გარყვნილებაა და უძლურება, როგორც გონებრივი, ისე ფიზიკური. არ დასთანხმდე, მამაკაცო, ქალის თვითგამორკვევას, სრულს განთავისუფლებას. ქალი არააობაა! ყოველსავე, რასაც იგი ხელს შეახებს, არააობად აქცევს...

ადამიანს ატუსაღებდენ, ცხეში აღზობდენ, კატორგაში გზავნიდენ, თავსა ჰკვეთდენ, არჩობდენ, ყოველსავე ღირსებას ხდიდენ. მერე რათა? იმიტომ რომ მოიპარა, ერთი ან ორი კაცი მოკლა. რაღა სასჯელი მოელის ქალს, რომელსაც კულტურისა და მამასადამე მთელის კაცობრიობის, მისი ადამიანობის მოკვლის განზრახვა ბრალდება!.. განა ამგვარი ბრალდება არ არის ოქტავ მირბოს კლარა („წამებათა ბაღი“)? დააცქერდათ კლარას: თქვენის გულიდან ამოხდება მხოლოდ კვნესა შეურაცყოფილ სულისა, ამაყი თავმოყვარეობისა: „ნუ თუ კლარა ქალია?... ნუ თუ კლარა დანტეს ბეატრიცა, პეტრარკას ლაურაა, დონ-კიხოტის დულცინეა, მეტერლინკის მარიამ მაგდალინელია და ტურგენიევის ლიზაა!.. კლარა, კლარა, კლარა—ვინა ხარ?..“

კლარა ჩვენისავე მძულვარების, ეგოიზმის ნაყოფია. ჩვენ შევქმენით კლარა. ჩვენ ერთხელაც არ მოგვიზრებია, რომ ქალის ღანიწნულემა მარტო „დედობითა და პროსტიტუციით“ არ განიზომება. არც ნიცშეს, არც ვეინინგერისა, არც მირბოს, არც სტრინდბერგს მუშტრის თვალთ არ შეუხედავთ მამაკაცის-მიერ შექმნილ სინამდვილესათვის. მათ ერთხელაც არ გამოუკვლევიათ ის სოციალური პირობანი, რომელთაც ქალის გონება და გული დაუკნინებია. მთელს თავის თეორიას ისინი აშენებენ ბიოლოგიაზე და ფიზიოლოგიაზე, რომელნიც მა-



თეატრული ცნობები

**მაკაცისაგანვე** არის შექმნილი. მათ დაეწყო-ბიათ რაინდული სამართლიანობა და თავისიანობა: „audiatur et altera pars“ (მეორე მხარესაც მოუსმინეთ). მაგრამ ვინ მოისმენს ამ მეორე მხარის-მიერ თავის დაცვას. თავის დაცვას ცოდნა უნდა, და განა ნიცშეს ჭირისამებრ არ ეჯავრება ნასწავლი ქალები. მოსმენას მოლაპარაკეს პატივისცემა სჭირია, და განა ნიცშე არ ამბობს: „კაცის ბედნიერება გამოახატება სიტყვებით: „მე მიიდა“, ქალისა-ვი — „მას უნდა“.

მაგრამ ვერც ნიცშეს ტრაქტატები, ვერც ვეინინგერის ფილოსოფია, ვერც მირბოსი და სტრინდბერგის მძულვარება ვერ ამოფხვრის ნორჩი ახალგაზდობის სულისკვეთებას. მას ვერა-რა აკმაყოფილებს: ვერც მცენიერებით სულის გაფაქიზება, ვერც საზოგადო მოღვაწეობა, ვერც დიდებული მელოდია — მუსიკა. ახალგაზდა სულს მოსვენებას არ აძლევს პლატონის-მიერ ოდესღაც თქმული: „უწინარეს ყოვლისა ადამიანი წარმოადგენდა თეთრს, სპეტაკს მარმარილოს. სინამდვილემ ეს მარმარილო ორად აქცია და მით დაარღვია უმადლოესი ქვეშარიტება“. ახალგაზდა სულს სწყურია ამ ორი დაშორებულ ნაწილის შეერთება. იგი ქალში, და მხოლოდ ქალში ეძიებს თავის გონების, გრძობისა და ნების მთლიანობას. წინ ნუ დაუდგებით მის სულისკვეთებას: იგი გადასთელავს შურს, ღვარძლს, სიძულვილს. იგი მეგობრულად გაუწვდის ხელს ქალს და მასაც ისევე აღამაღლებს და გააფაქიზებს, როგორც თვით არის ფაქიზი და დიდბუნებოვანი. იგი დარწმუნებულია, რომ ზესთაბუნებრივ მამაკაცს მხოლოდ ზესთაბუნებრივი ქალი სჭირია. ცისვარი.

### სათეატრო ამბები

#### ადგილობრივი ცენა

◆ **ზღვრული** ჯარღან ცურ-გუბინიანი, გუბერნატორია ნბართვით, 6 აპრილს, სახაზინო თეატრში გამართავს წარმოდგენას სომხურს ენაზე მოღინის ეკლესიის ქალთა სკოლის სასარგებლოდ.

◆ **მ. ძილარჯიშვილი**, ქართული სცენის მსახიობი-ქალი, აქემად ძლიერ ავით არის, ლოგინად ჩავარდნილა, უსახსრობით გაჭირვებული.

◆ **ვალ. გუნია** შეუდგა ლ. ანდრეევის პიესის „ანდისას“ თარგმნას.

◆ **გუბერნატორმა** ნება დართო მ. ედევანოვს ს იუბილეს გამართვისა.

◆ **„ანტიგონა“** სცენის მოყვარულთა-მიერ თეატრისტ. საზ. თეატრში 29 მარტს რიგინად იქმნა წარმოდგენილა. გუნდა და ორკესტრს ხელმძღვანელობდა ნ. გ. ქართველიშვილი. პიესა 2 აპრილს გაიშეორეს.

◆ **ჩოხავის სასსლოვრად გამართულმა** წარმოდგენამ გასულ კვირას არტ. საზ. თეატრში საუცხოოდ ჩაიარა. შეშხვევის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა ა. იონისიანმა, რომელმაც აღტაცება გამოიწვია მსმენელებში.

◆ **გ. რთაძიძის** ლექციამ ჩვეულებრივად ჩაიარა. ბლამა საზოგადოება დაეწრო.

◆ **ქართული თეატრი**. ორშაბათს, 29 მარტს წარმოდგინეს გ. სუნდუკიანის 4 მოქმედებიანი კომედია „ხათბალა“. ეს წარმოდგენა იმიო იყო საინტერესო, რომ ოთხი უნიკიერესი და დამახშურებული მსახიობი მონაწილეობდა პიესაში. შეუდარებელი იყო ნ. გაბუნია-ცაგარლისა „ხამფურას“ როლში; მშვენიერი იყო აგრედვე მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა, რომელიც ამ ათი წლის განმავლობაში აღარ უნახავს ქართველ საზოგადოებას სცენაზე. აგრედვე კარგი იყო ვ. აბაშიძე „ისა ას“ როლში. საზოგადოებამ ნ. გაბუნია-ცაგარლისა და მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა გამოსვლისათანავე ცხარე ტაშის ცემით დაჯილდოვა და არც მოტყუვდა საზოგადოება, რადგანაც ეს პიესა ამ პირებმა კლასიკურად ითამაშეს. ამ საღამოს, მ. საფაროვ-აბაშიძისამ უსუფლოიროდ ითამაშა.

#### რუსეთის ცენა

◆ **პეტროპოლის** სათეატრო საჯარვოს განუზრახავს ბინის დაჭირავება, სადაც არტიტები შეხედებიან რეცენზენტებს. ამ მიზნით ნეის პროსპექტზე უკვე დაჭირავებულია სადკომი.

◆ **შუბრი საკვირვულმა** სცემდა. არხანგელსკის პოლიციმეისტერს მოუთხოვია ადგილობრივ თეატრის დირექციისგან რამდენიმე ბილეთი მაძებარ პოლიციის აგენტთათვის. ანტრეპრენარმა ქალმა მოითხოვა ცირკულიარი, რომლის ძალითაც პოლიციმეისტერი მოითხოვდა ბილეთებს. რასაკვირველია, ამგვარი ცირკულიარი არ აღმოჩენილა. მაგრამ ბოქაული მაინც თავისას მოითხოვდა, სანამ გუბერნატორმა არ მიუთითა მოთხოვნის უკანონობაზე.

◆ **ღაარსდა** ანტრეპრენიტთა სინდიკატი, რომლის წევრებად ჩარიკებულიან: ნიკოლინი, სობოლ-შიკოვ-სამარინ, ბახრუშ-ნი, ლავროვა-ორლოვსკია და კრამოლოვი. სინდაკატს დიდი მნიშვნელობა ექნება თეატრის ცხოვრების მიმდარ-რობისათვის.

#### უცხოეთის ცენა

◆ **შერლინში** ცენტურამ აკრძალა მერგეკოვსკის პიესის „პავლეს სიკვდილი“ წარმოდგენა. უსაბუთო აკრძალვამ ააშფოთა Berliner Theater და ცენზურა სამართალში გაიწვია. მოკლან ფრიად საგულისხმო პროცესს.

საქართველოს  
საბჭოთაო  
საზღვარგარეთო  
კავშირების  
სამდივო

## სამანუფაქტურო ამხანაგობა

# ნაზაროვისა და ოჭიევისა

ერევნის მოედანზე, ქალაქის გამგეობის დარბაზის ქვეშ.

ყოველდღე მოხდით აზრეშემის, მატყლის,

ტილოს და ბამბეყლის დიდ ძალი საქონელი

◆◆ უკანასკნელი მოდისა ◆◆

ამხანაგობა პაციფიკურ სავაჭროების ყურადღებას მიაცდევს საქონლის ღირსებებსა და  
დღეების ან ყოველ სივრცეზე ◆ სყიდვა შეუვაჭრებლად 2—2

## დროება წელიწადი მესამე

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი კვირეულ დამატებით. წლიური ფასი 8 მ. და 50 კ. ნახევარი წლით 4 მ. 80 კ. ერთი თვით 80 კ., ცალკე № 5 კ., დამატებით 7 კ. ხელის მოწერა მიიღება თბილისში „დროების“ კანტორაში და ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან; ქუთაისში: ის. კვცარაძესთან, ხონში: გ. მებუკესთან, გორში: ს. შველიძესთან, კიათურაში: ს. ტარუაშვილთან, ფული გამოიგზავნოს Тифлисъ, ред. „Дროება“, И. С. Агладзе. რედ.-გამ. ი. ს. აგლაძე

## ხალხი

სალიტერატურო-საპოლიტიკო გაზეთი, გამოდის ყოველ ორშაბათს, თითო ნომერი ყველგან 5 კაპ. ადრესი: Тифлисъ, „Сорапань“ რედ.-გამომცემელი შ. საფაროვი

## ჩვენი გაზეთი

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი; წლიურად 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ 14 მ. ნახევარი წლით 7 მ., სამი თვით თბილისში 2 მ. 20 კ., თბილისის გარედ 2 მ. 50 კ. ერთი თვით 80 კ., თბილისის გარედ 90 კ. ადრესი: რუსის ქუჩ., № 3, ზემო სართული. Тифлисъ тип. „Промы“ Кал. Кон. Цуладзе.

## მათრასი და სალამური

ყოველ-კვირეული კარიკატურებიანი ჟურნალი, წლიურად 5 მან., ერთი თვით 50 კაპ. თითო ნომერი 10 კა. რედ.-გამომცემელი ე. ტურაბელიძე

## გაიხსნა სტამბა

„ბეჭდვითი საქმის“ მოხელეთა ამხანაგობისა

თავად-აზნაურობის ქარვასლაში №№ 141—142.

სადაც სრულდება ყოველგვარი სასტამბო საქმიები სუფთად და სწრაზად.